განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **თამარ ვალიშვილი**

წევრები:

სახელი, გვარი - **ვანო ოთხოზორია**

სახელი, გვარი - **ბარბარე გონაშვილი**

სახელი, გვარი - **ქეთევან ღვანიძე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ***საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი***

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა - **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **202066405**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ **საზოგადოებრივი კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 აპრილის №-261 -ე ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - თამარ ვალიშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე), ვანო ოთხოზორია (ჯგუფის წევრი), ბარბარე გონაშვილი (ჯგუფის წევრი) და ქეთევან ღვანიძე (ჯგუფის წევრი) 2019 წლის 1, 2 და 3 მაისს განახორციელა ვიზიტი შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები.

ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით.

ვიზიტის პერიოდში მოხდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, შემოწმდა დაწესებულების საგნმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, პროგრამები, დაწესებულების ვებ გვერდი, რეესტრი, ადამიანური და მატერიალური რესურსი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების შესრულების შესაბამისობა შიდა მარეგულირებელ და სამართლებრივ აქტებთან, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე.

სამუშაო ვიზიტის ბოლოს ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას გააცნო ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მდგომარეობა	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა
ახალი	1-20	1-5	1-20	1-500 კვ.მ.	ერთ მისამართზე
არსებული	21-50	6-10	21-50	501-1500 კვ.მ.	სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში
	51-150	11-15	51-100	1501-3000 კვ.მ.	სხვადასხვა მუნიციპალიტეტში
	151-500	16-20	101-150	3000-5000 კვ.მ.	
	501 და მეტი	21 და მეტი	151 და მეტია მეტი	5001 და მეტი კვ.მ.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისაწიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისაწიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის დროს ხარვეზები დაფიქსირებული არ იყო.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1. რეკომენდირებულია:

- ✓ *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ძირითადი პროფესიული მოდულების სასწავლო რესურსებიდან ამოღებულ იქნას „cisco-ს სასწავლო კურსი IT Essentials 6.0 https://www.netacad.com“, მოცემულ რესურსთან წვდომის არ ქონის გამო.*
- ✓ *მოდულებში „მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები“ და „დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support“ დამატებული იქნას შესაბამისი თემატური რესურსი რომელიც სრულად დაფარავს სწავლის შედეგებს და შესრულების კრიტერიუმებს.*
- ✓ *მოდულში - „პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“ აისახოს მოდულის განხორციელების მიდგომები.*
- ✓ *რეკომენდირებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ მოდულებში დაკორექტირდეს ჩანაწერი და მიეთითოს, რომ „გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა“ და „პრაქტიკული პროექტი –სკოლამდელი აღზრდა“ მოდულები ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე.*
- ✓ *რეკომენდირებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ (სააფთიაქო) სასწავლო გეგმაში გასწორდეს მოდულის „ბიოქიმია“ წინაპირობები.*
- ✓ *რეკომენდირებულია „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია მოყვანილ იქნას შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტთან.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 . რეკომენდირებულია:

- ✓ *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ძირითადი პროფესიული მოდულის „დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support“ ეფექტური სწავლებისთვის, მოდულის სწავლებაში დარგის სპეციალისტის ჩართვა და შესაბამისი მოდულის სწავლების მიდგომების გაწერა საკუთრივ მოდულში.*

VII. დაწესებულების მისია

საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის მისიაა დავძლიოთ გამოწვევები განვითარების გზაზე და დავიმკვიდროთ წამყვანი პოზიცია საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, როგორც მდგრადმა და ინოვაციურმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უზრუნველვყოთ კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადება. კოლეჯი იზიარებს სოციალურ პასუხისმგებლობას, ასევე ხელს უწყობს განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებს. რომლებიც ერთის მხრივ ეყრდნობა ეროვნულ ცნობიერებას და, მეორე მხრივ, ორიენტირებულია პროფესიული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება გეგმავს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას:

- *საფინანსო სერვისები;*
- *ინფორმაციის ტექნოლოგია;*
- *საოფისე საქმე;*
- *აღმზრდელი;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *ფარმაცია (სააფთიაქო).*

საგანმანათლებლო პროგრამებს ახლავს შესაბამისი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსის მოდულები, რომლებიც შედგენილია კოლეჯის შიდა რეგულაციების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება რეგულირდება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის 2018 წლის 22 ნოემბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების (ცვლილებები დამტკიცებულია 2019 წლის 28 თებერვლის N9 ბრძანებით) მუხლი 17-18 ით. ამ მუხლის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ კოლეჯის ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერის ჩართულობით, ხოლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ხდება ჩარჩო დოკუმენტის და მოდულების ადაპტირება. საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა ხდება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია პროგრამის შემუშავებაში, სწავლის მეთოდებისა და შინაარსის/თემატიკის დაკონკრეტებაში ჩართოს შესაბამისი პროგრამის კურსდამთავრებულთა მსხვილი დამსაქმებელი ორგანიზაცია, პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირი.

საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი წარედგინება კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად. პროგრამის შემუშავების პროცედურა დადასტურდა ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას წინ უძღვოდა დაწესებულების მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევა, რაც დასტურდება დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან გასაუბრებით და ბაზრის კვლევის წარმოდგენილი შედეგებითაც.

ყველა წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის 2018 წლის 27 ნოემბრის N40 ბრძანებით, ცვლილებები განხორციელებულია შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის N3 ბრძანებით, შემდგომში 26 თებერვლის N7 და 27 თებერვლის N8 ბრძანებებით.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის კოორდინატორი, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, ჩანაწერი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის, პროგრამის განხორციელების გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ.

ყველა პროფესიული პროგრამა ადაპტირებულია. პროგრამების ადაპტირება/დანერგვისთვის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შეიქმნა შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერი; ადმინისტრაციის წარმომადგენელი; პროგრამის/პროგრამების კოორდინატორი; მოდულის/მოდულების განმახორციელებელი პირები. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შეფასების სისტემა და მტკიცებულებათა შეგროვების მიდგომები, მოცემულია როგორც პროგრამებში, ისე მოდულებში.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ, სს"გეფა", ა(ა)იპ ქ. თბილისის 15-ე ბაგა-ბაღი, სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი, კრედო ბანკი, სს „გუდვილი", სადაც იგეგმება პროფესიული პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება (დასტურდება ხელშეკრულებებით). ობიექტებზე ჩატარდა ინტერვიუ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, დადგინდა აღნიშნული ობიექტების მზაობა სტუდენტების მიღებისათვის.

<u>საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის მოთხოვნილია კვოტა - 40 სტუდენტი, თუმცა ექსპერტების მოსაზრებით, სასწავლო გარემო და რესურსი, პრაქტიკის ობიექტის გამტარიანობა შეესაბამება 20 პროფესიული სტუდენტის მომსახურეობას, კერძოდ, B გარემოს გამტარიანობა, რომელიც ამავდროულად ემსახურება სხვა პროფესიულ პროგრამებსაც, გათვლილია მხოლოდ 10 სტუდენტზე (2 ცვლაში 20 პროფესიულ სტუდენტზე). ამავდროულად დირექტორის თანაშემწის განმარტებით, საფინანსო სერვისების პროგრამა ითვალისწინებს B გარემოში ჯამურად - 494 საათს დატვირთვას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკის ობიექტი - ბანკი „კრედო" გამოთქვამს მზადყოფნას ერთდროულად მიიღოს მხოლოდ 10 პროფესიული სტუდენტი.</u>

<u>ამ გარემოებიდან გამომდინარე, ექსპერტების აზრით, საფინანსო სერვისების პროგრამაზე შესაძლებელია 20 სტუდენტის მიღება ნაცვლად 40-ისა.</u>

1. *<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია" -</u>*

შემუშავებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით დამტკიცებული "ინფორმაციის ტექნოლოგია", პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (ბოლო ცვლილების თარიღი - 2019 წლის 31 იანვარი N 80/ი).

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 60 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 31 კრედიტი, პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 13 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 11 თვე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 75 კრედიტი.

წარმოდგენილია „ინფორმაციის ტექნოლოგია" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთება: სასწავლო გეგმა გადანაწილებულია 2 სასწავლო წელზე და ასახულია განმეორებითი გამოცდების ჩატარებისთვის გამოყოფილი გონივრული ვადის პირობები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია, ტექსტში გვხვდება სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო დაწესებულებასა და შპს „მაზერი“ შორის დადებულია ხელშეკრულება - “გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“ სასწავლო მოდულების წარმართვაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და აღჭურვილობის გამოყენებით. ხელშეკრულების მიხედვით კომპანიას შეუძლია ერთდროულად 20 სტუდენტის მიღება, ხელშეკრულება ძალაშია 2024 წლის დეკემბრის ჩათვლით.

საკუთრივ მოდულში „პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“, განხორციელების მიდგომებში - არ არის ასახული როგორ გეგმავს სასწავლო დაწესებულება სასწავლო პროცესს მოცემული მოდულის ფარგლებში და განახორციელებს თუ არა მას პრაქტიკის ობიექტზე.

რეკომენდირებულია: მოდულში - „პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“ აისახოს მოდულის განხორციელების მიდგომები.

ძირითადი პროფესიული მოდულების სასწავლო რესურსებში მითითებულია „cisco-ს სასწავლო კრესი IT Essentials 6.0 https://www.netacad.com“. ინტერვიურებით დადგინდა, რომ განმახორციელებელ პედაგოგებს არ აქვთ ავტორიზებული წვდომის საშუალება მოცემულ ელექტრონულ რესურსთან.

რეკომენდირებულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ძირითადი პროფესიული მოდულების სასწავლო რესურსებიდან ამოღებულ იქნას „cisco-ს სასწავლო კურსი IT Essentials 6.0 https://www.netacad.com“ , მოცემულ რესურსთან წვდომის არ ქონის გამო, ხოლო მოდულებში „მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები“ და „დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support“ დამატებული იყოს შესაბამისი თემატური რესურსი რომელიც სრულად დაფარავს სწავლის შედეგებს და შესრულების კრიტერიუმებს.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, ხოლო სპეციალიზაციის/ პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 21 თვე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა 26 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ააიპ ქ. თბილისის N15–ე (10.12.2018 დან – 31.12.2021წლამდე) და N25–ე საბავშვო ბაღებთან (11.12.2018 წლიდან – 31.12.2024 წლამდე) დაწესებულებების საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და აღჭურვილობის გამოყენებით. ხელშეკრულების მიხედვით N15 ბაღში შესაძლებელია ერთდროულად 14 სტუდენტის, ხოლო N25 ბაღში ერთდროულად 11 სტუდენტის მიღება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა“ და „პრაქტიკული პროექტი–სკოლამდელი აღზრდა“ მოდულებში, განხორციელების მიდგომებში ასახულია, რომ მოდულები ხორციელდება დაწესებულების სასწავლო აუდიტორიაში.

<u>რეკომენდირებულია: პროფესიული საგაგნმანათლებლო პროგრამის მოდულებში დაკორექტირდეს ჩანაწერი და მიეთითოს, რომ „გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა“ და „პრაქტიკული პროექტი –სკოლამდელი აღზრდა“ მოდულები, ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე.</u>

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“

შემუშავებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 მაისის N407/ი ბრძანებით დამტკიცებული "ფარმაცია" (სააფთიაქო), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (ცვლილებების თარიღი - 2019წ 31 იანვარი N83/ი ბრძანება; 2019წ 16 აპრილი N274/ი ბრძანება).

<u>მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში/Associate Degree in Pharmacy. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში მითითებულია 2 კვალიფიკაცია: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა - 2020 წლის 29 თებერვალი) და ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან). რეკომენდირებულია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია მოყვანილ იქნას შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტთან.</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 123 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, საერთო სავალდებულო პროფესიული მოდულები - 26 კრედიტი, პროფესიული/არჩევითი მოდულები - 3 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 22 თვე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 153 კრედიტი, სწავლის ხანგრძლივობა 28 თვე.

სასწავლო გეგმა გადანაწილებულია 3 სასწავლო წელზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია.

<u>სასწავლო გეგმაში ყოველთვის არ არის დაცული მოდულებზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ, მოდულის „ბიოქიმია“ წინაპირობაა მოდული „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკო-ქიმიური თვისებები“, თუმცა სასწავლო გეგმაში ხდება ამ საგნების გადაფარვა - „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკო-ქიმიური თვისებები“ - ისწავლება პირველი სასწავლო წლის 21-35 კვირებში, მოდული „ ბიოქიმია“ – 27-34 კვირებში.</u>

<u>რეკომენდირებულია სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას მოდული „ბიოქიმია“ სწავლების დაშვების წინაპირობა.</u>

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სს „გეფა“-სთან (N20/3, 1.06.2018წ).

მემორანდუმი განსაზღვრავს ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურისა და ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამების სტუდენტებისათვის აფთიაქის მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაცნობას. თუმცა, 2018 წლის 5 დეკემბერს შესულია ცვლილება მემორანდუმში შეთანხმების სახით N41/3, რომელიც ითვალისწინებს ფარმაცია (სააფთიაქო) მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების პრაქტიკულ ობიექტზე განხორციელებას:

1. *მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება;*
2. *პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;*
3. *მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში;*
4. *მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;*
5. *მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;*
6. *მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;*
7. *მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;*
8. *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებებში.*

4) <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის "საფინანსო სერვისების" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04117-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 51 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 35 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 9თვე.

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 66 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 12 თვე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია,

გაფორმებულია შეთანხმება (მემორანდუმი) ურთიერთთანამშრომლობის შესახებ (№05022019-01; 05 თებერვალი 2019წ) შპს „ალტა სოფთვეარ“-თან. მემორანდუმის მიხედვით - შეთანხმება მიზნად ისახავს შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანსკერტელის“ სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი განათლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადებას. საინფორმაციო-ტექნოლოგიების საფინანსო-საბანკო საქმიანობისთვის გამოყენების პოპულარიზაციას, საფინანსო სერვისების პროფესიული სპეციალობის პრაქტიკული და სასწავლო კომპონენტების ეფექტური განხორციელების მხარდაჭერას. აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია 2 წლის ვადით.

საფინანსო სერვისების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას არანაკლებ პროგრამის ხანგრძლივობის ვადის დაცვით, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	პრაქტიკის ობიექტის დასახელება	*პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებული მოდულები/კომპონენტები*
1.	*სს „გუდვილი“* *ხელშეკრულება N 34/3, 29.10.2018* *ძალაშია - 2024 წლის დეკემბრის ჩათვლით.*	***პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:*** *1. სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი*
2.	*„კრედო ბანკი“* *ხელშეკრულება N 34/3, 29.11.2018* *ძალაშია - 2020 წლის დეკემბრის ჩათვლით*	***პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:*** *1. გაცნობითი პრაქტიკა საფინანსო სერვისები* *2. სალარო ოპერაციების განხორციელება* *3. საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები* *4.სადეპოზიტო მომსახურება*
3.	*სს „ნიკორა ტრეიდი“* *ხელშეკრულება N 39/3, 30.11.2018,ძალაშია 2020 წლის დეკემბრის ჩათვლით*	***პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:*** *1. გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები* *2. სალარო ოპერაციების განხორციელება.* *3. სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი* *4. საწარმოო პრაქტიკა*

5) <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ –</u>

შემუშავებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 13.10.2017წ N656 ბრძანების საფუძველზე (ბოლო ცვლილება - 31/01/2019წ N 80/ი ბრძანებით).

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში/Secondary Vocational Qualification in Office Work.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 59 კრედიტი. პროგრამა ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს - ჯამური 15 კრედიტის მოცულობით და 1 საერთო პროფესიულ მოდულს 5 კრედიტის მოცულობით, ასევე საოფისე საქმის დარგობრივ 14 მოდულს 39 კრედიტის მოცულობით. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 16 თვე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 89 კრედიტი, სწავლის ხანგრძლივობა 16 თვე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივთან (N42/3, 6.12.2018წ).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით (ბრძ. N40, 27.11.2018 /პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ; ბრძ. N3, 5.02.2019 /პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ);*
- *შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის 2018 წლის 22 ნოემბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (ცვლილებები დამტკიცებულია 2019 წლის 28 თებერვლის N9 ბრძანებით);*
- *დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესით (ბრძ. N41, 2018 წლის 28 ნოემბერი);*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგით);*
- *ვებ-გვერდით - www.fanaskerteli.edu.ge.*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით სს"გეფა"სთან (N20/3, 1/06/2018წ); ცვლილება - N41/3, 5.12.2018წ;*
- *ა(ა)იპ ქ. თბილისის 25-ე ბაგა-ბაღთან ხელშეკრულებით (N44/3, 11.12.2018წ);*
- *ა(ა)იპ ქ. თბილისის 15-ე ბაგა-ბაღთან ხელშეკრულებით (N43/3, 10.12.2018წ);*
- *სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივთან ხელშეკრულებით (N42/3, 6.12.2018წ);*
- *შპს „მაზერთან" ხელშეკრულებით (N40/3, 4.12.2018წ);*
- *სს „ნიკორა ტრეიდთან" ხელშეკრულებით (N39/3, 30.11.2018წ);*
- *კრედო ბანკთან ხელშეკრულებით (N36/3, 29.11.2018წ);*
- *სს „გუდვილთან" ხელშეკრულებით (N34/3, 29.10.2018წ).*
- *საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივთან ხელშეკრულებით (N42/3, 6.12.2018წ).*
- *შპს „ალტა სოფთვეარ"-თან გაფორმებული მემორანდუმით (№05022019-01)*

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) 2018-2019 (არქივის სახით ასევე კატალოგი 2015/2016; 2017/2018).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კატალოგში მოცემულია სასწავლო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია; სასწავლო დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები; ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების (დასახელებები), სწავლის შედეგების მიღწევისა და კრედიტების მინიჭების შესახებ. ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელსაც დაწესებულება განახორციელებს ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ, სადაც ასახულია მისანიჭებელი კვალიფიკაციები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ ინფორმაცია.

მოცემულია იმ საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც სასწავლო დაწესებულება ახორციელებს მილევად რეჟიმში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგით), რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე - www.fanaskerteli.edu.ge*
- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ფანასკერტელი“ საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობით (კატალოგი) 2019;*

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით - საფინანსო სერვისები/მესამე საფეხური; 2. ინფორმაციის ტექნოლოგია/მესამე საფეხური; 3. საოფისე საქმე/მეოთხე საფეხური; 4. აღმზრდელი/მეხუთე საფეხური და 5. ფარმაცია (სააფთიაქო)/მეხუთე საფეხური*
- *პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით.*

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, რაც ასახულია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში. ვიზიტის დროს არჩევითი პრინციპით გადამოწმდა სტუდენტების პირადი საქმეები, სტუდენტების რეესტრის წარმოება, ჩატარდა ინტერვიუ სასწავლო პროცესის მართვის მთავარ სპეციალისტთან და დადასტურდა ზემოაღნიშნული წესების პრაქტიკაში გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით, (მუხლი 23; 31; 32; 33; 34) - დირექტორის ბრძანება საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების დამტკიცების შესახებ (ბრძ. N38, 2018 წლის 22 ნოემბერი);*
- *სტუდენტების პირადი საქმეებით;*
- *სასწავლო პროცესის მართვის მთავარ სპეციალისტთან გასაუბრებით.*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ასახულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში (მუხლი 19): საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით (აქამდე დადასტურებული შედეგების აღიარებით), ან ხელი შეუწყოს მათ მობილობას. ამისათვის კოლეჯი პროგრამის გაუქმებამდე აფორმებს თანამშრომლობის მემორანდუმებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების გადასვლის და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მათ მიერ გავლილი პროგრამის აღიარებით; პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად უღიარდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეცვლილი/გაუქმებული პროგრამით გავლილი სასწავლო კურსები, თუ მათი დასახელება, სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა მოდიფიცირებული ან თავსებადი, მომიჯნავე პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების დასახელებას, სწავლის შედეგებსა და კრედიტების რაოდენობას. თუ შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა მოდიფიცირებულ ან თავსებად, მომიჯნავე პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დასახელებას, ხოლო კრედიტების რაოდენობა იგივეა, აღიარება შეიძლება მოხდეს პროგრამის სასწავლო კურსებთან თემატური, შინაარსობრივი შეთავსების საფუძველზე სწავლის შედეგებიდან გამომდინარე; თუ შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება ემთხვევა მოდიფიცირებულ ან თავსებად, მომიჯნავე პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დასახელებას ან/და სწავლის შედეგებს, ხოლო კრედიტების რაოდენობა მოდიფიცირებული ან თავსებადი, მომიჯნავე პროგრამით გათვალისწინებული/ თავსებადი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობაზე ნაკლებია, აღნიშნული სასწავლო კურსის კრედიტების პროფესიულ სტუდენტს უღიარდება იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც იყო გათვალისწინებული ძველი პროგრამით; პროფესიულ სტუდენტს არ მოეთხოვება დამატებითი კრედიტების მოპოვება; თუ პროფესიულ სტუდენტს სურვილი არა აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა საგანმანათლებლო

დაწესებულებაში, კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამის მილევად რეჟიმში სწავლებას, ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე.

კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შპს კოლეჯი მესამე სამედიცინოს-თან (20/02/2017წ), შპს საზოგადოებრივ კოლეჯთან „პანაცეა“ (24/08/2015წ) და საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის 2018 წლის 22 ნოემბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (ცვლილებები დამტკიცებულია 2019 წლის 28 თებერვლის N9 ბრძანებით);*
- *მემორანდუმით საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან (2018წ);*
- *მემორანდუმით შპს კოლეჯი მესამე სამედიცინოს-თან (20/02/2017წ);*
- *მემორანდუმით შპს საზოგადოებრივ კოლეჯთან „პანაცეა“ (24/08/2015წ).*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, დირექტორის 2018 წლის 30 ნოემბრის №43 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებს დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე ციკლს.

ამ მექანიზმების შემუშავების მიზანია, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მონიტორინგი, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და განვითარება. კოლეჯის ხარისხის სრულყოფისთვის დაწესებულება იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც გამოიხატება პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლებლის მასწავლებლის, კურსდამთავრებულების რეგულარული გამოკითხვის საშუალებით. აღნიშნული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ხარისხის მენეჯერი. ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება ასევე პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგები ასახულია ანგარიშში. დაწესებულებაში, ხარისხის გასაუმჯობესებლად, შემუშავებულია სხვადასხვა სახის კითხვარები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით - (ბრძ. N43, 2018 წლის 30 ნოემბერი);*
- *საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის გზამკვლევით, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე - www.fanaskerteli.edu.ge.*
- *ონლაინ კითხვარებით;*
- *2017-2018 წწ. ანგარიშით;*
- *ვებ-გვერდით - www.fanaskerteli.edu.ge;*
- *ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით.*

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულების იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ზაზიშვილის ქ.№1. მოცემულ მისამართზე სასწავლო დაწესებულება ფლობს 507,00 კვ.მ ფართს, 10 წლიანი იჯარის უფლებით (უფლების რეგისტრაციის თარიღი: 23/08/2018)

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

	მისამართი	*კვ.მ.*
	ქ. თბილისი, ზაზიშვილის ქ. 1 (ს/კ N [redacted]	*507*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (N [redacted]*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება საკუთრებაში ფლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭირო რესურსს, აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ავეჯითა და ინვენტარით. კოლეჯს გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა განთავსებისათვის აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი აუდიტორიები, კომპიუტერები, მრავალფუნქციური პრინტერები, პროექტორი და ყველა ის ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც საჭიროა სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის.

ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის კოლეჯს გააჩნია:

2 კომპიუტერული კლასი - B გარემო :

B1 გარემო *განკუთვნილია აღმზრდელის, ფარმაციის, საოფისე საქმისა და ფინანსების პროფესიული პროგრამებისათვის და სათანადოდ აღჭურვილია 10 სტუდენტისათვის (10 სტუდენტის სამუშაო ადგილი, 10 კომპიუტერი).*

ფინანსების პროფესიული პროგრამისათვის B1 გარემოში ჩატვირთულია სატესტო საბანკო პროგრამა „ალტა“.

B2 გარემო *(A,B,C გარემო) განკუთვნილია ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული პროგრამისთვის, სადაც განთავსებულია 10 კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტებისთვის, კომპიუტერი კომპლექტი მასწავლებლისთვის, მრავალფუნქციური პრინტერი, მონიტორი, დაფა. მოცემულ გარემოში განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა აღჭურვილობა.*

სასწავლო აუდიტორია A გარემო (3 ოთახი) *– თითოეულში განთავსებულია პორტატული კომპიუტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება:*

A1 - საფინანსო სერვისების პროფესიული პროგრამისათვის (20 ადგილი პროფესიული სტუდენტისათვის);

A2 - აღმზრდელის პროფესიული პროგრამისათვის (20 ადგილი პროფესიული სტუდენტისათვის) ;

A3 - საოფისე საქმის პროფესიული პროგრამისათვის (20 ადგილი პროფესიული სტუდენტისათვის).

AC გარემო ფარმაცია (საფთიაქო) *პროფესიული პროგრამისათვის (იმიტირებული აფთიაქი) - 30 ადგილი პროფესიული*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტისათვის - აღჭურვილია პროფესიული პროგრამისათვის ყველა სავალდებულო ინვენტარით.

C გარემო - ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის *- სრულად აღჭურვილია პროფესიული პროგრამაში ასახული ჩამონათვალის მიხედვით.*

AC გარემო - პირველადი გადაუდებელი დახმარების *მოდულისათვის (ფარმაციის პროგრამა) (28 ადგილი პროფესიული სტუდენტისათვის):*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

სველი წერტილები გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისათვის. ცალკე გამოყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი სრულადაა წარმოდგენილი ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია ბეჭდურ კატალოგში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული რესურსები ინახება CD/DVD დისკებზე, საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 კომპიუტერი (1 ბიბლიოთეკარის და 2 სტუდენტებისთვის) და საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი).

სასწავლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი/ინსტრუქცია", რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია ვებგვერდზე სტუდენტებისთვის განკუთვნილ ინფორმაციულ სვეტში. ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი (OPAC) .

სასწავლო დაწესებულებაში საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში (მუხლი 13).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;*
- *ვებ-გვერდით http://fanaskerteli.edu.ge;*
- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ბიბლიოთეკართან გასაუბრებით.*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულება თავის საქმიანობაში აქტიურად იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. საზოგადოებრივ კოლეჯს მფლობელობაში აქვს 41 პერსონალური კომპიუტერი (აქედან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენება 35, ხოლო ადმინისტრაციისთვის - 6) და 8 დემონსტრირების ციფრული საშუალება (პროექტორი და მონიტორი). კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტის ქსელში, ხელმისაწვდომია როგორც სადენიანი, ასევე უსადენო კავშირი. კოლეჯის მართვის პროცესში გამოიყენება ვებგვერდი, სოციალური ქსელი. ვებგვერდი დომენური სახელით - "fanaskerteli.edu.ge" წარმოადგენს საინფორმაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის. აღნიშნული დომენი სასწავლო დაწესებულებას აქვს რეგისტრირებული და სარგებლობს დომენისთვის გამოყოფილი 1000 მბ დისკური სივრცით, რაზედაც 2018 წლის 20 დეკემბერს შ.პ.ს „სერვ.ჯი" -სთან გაფორმებულია მომსახურების გაწევის ხელშეკრულება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *სს „გლობალ ერთი“-სთან გაფორმებული ინტერნეტის ქსელით სარგებლობის ხელშეკრულებით;*
- *შ.პ.ს „სერვ.ჯი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით;*
- *ინვოისით;*
- *ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

■ *ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

☐ *ქვესტანდარტი დარღვეულია*

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი საქართველოს კანონმდებლობისა და კოლეჯის დებულების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2018 წლის N38 ბრძანებით. საქმისწარმოების წესი ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ მოთხოვნებს. კოლეჯში საქმისწარმოებას ახორციელებს საქმისწარმოებისა და რეესტრის წარმოების მენეჯერი, რომლის უფლება–მოვალეობა განსაზღვრულია დაწესებულების დებულებით.

კოლეჯის კორესპონდენციის (დოკუმენტაციის) აღრიცხვა და შემდგომ ახალი კალენდარული წლის დასაწყისში განახლებული ნუმერაციით რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგ სარეგისტრაციო ჟურნალებში:

1. *ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;*
2. *შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი;*
3. *გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი;*
4. *მემორანდუმების/ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;*
5. *ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი (პროფესიული განათლების მასწავლებლის);*
6. *პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;*
7. *ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი;*
8. *პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტების აღრიცხვიანობის ჟურნალი.*

ადგილზე შესწავლილი იქნა ჟურნალები, რომლებიც დამუშავებულია საქმისწარმოების წესის შესაბამისად. ზონარგაყრილია, დამოწმებულია დირექტორის ხელმოწერით, გვერდები დანომრილია და დალუქულია.

დაწესებულების ოფიციალური დოკუმენტაციის შედგენა-წარმოება-მიღება-გაგზავნისას გამოიყენება კოლეჯის ლოგო, ბრძანების ფურცელი, ბლანკი, შესაბამისი ბეჭედი, ფაქსიმილე.

კოლეჯის ბლანკის ფორმა შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: დაწესებულების სიმბოლიკა, დაწესებულების სახელწოდება, მისამართი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია.

2019 წლის I კვარტალში დაწესებულება გეგმავს ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლას, რაც დადასტურდა საქმისწარმოებისა და რეესტრის წარმოების მენეჯერთან გასაუბრებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესით - ბრძ. N38 2018 წლის 22 ნოემბერი;*
- *შემოსული და გასული კორესპონდენციის, ბრძანებებით, ხელშეკრულებებისა და ოქმების აღრიცხვის ჟურნალებით;*
- *ადგილზე დათვალიერებით;*

შეფასება:

[x] *ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

☐ *ქვესტანდარტი დარღვეულია*

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო იწვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულების შემუშავებულ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში - მუხლი 45-ში, გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის ადმინისტრირების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესები.

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

სასწავლო დაწესებულებაში განთავსებულია ექსპლუატაციისთვის ვარგისი ცეცხლმაქრები (ცეცხლმაქრები განთავსებულია შესასვლელთან, ორივე დერეფნის უჯრედში და საევაკუაციო გასასვლელთან) და გამოკრულია მათი გამოყენების ინსტრუქცია.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

შენობას გააჩნია საევაკუაციო გასასვლელი. გამოკრულია უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმები და შენობის უსაფრთხოდ დატოვებისთვის საჭირო ევაკუაციის პროცედურები.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

სასწავლო დაწესებულებას აქვს გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სირვცე. დანიშნულია სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი - სამედიცინო კაბინეტის ხელმძღვანელი. ადგილზე არის გამოსაყენებლად ვარგისი პირველადი გამოყენების მედიკამენტები.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები-

სასწავლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს ცენტრალიზებული დაცვის სისტემა. შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. გამოყოფილია დაცვის თანამშრომელი, რომლის მოვალეობაშიც შედის მთელს პერიმეტრზე წესრიგის დაცვა, წესრიგის შესაძლო დარღვევებზე რეაგირება და მატერიალური ფასეულობების დაცვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (მუხლი 45);*
- *ევაკუაციის გეგმით;*
- *სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის შრომითი ხელშეკრულებით;*
- *დაცვის თანამშრომლის დანიშვნის აქტით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შენობა, სადაც განთავსებულია სასწავლო დაწესებულება, აღჭურვილია კიბის პანდუსებით (შემოსასვლელი და საევაკუაციო გასასვლელი). სველი წერტილი ადაპტირებულია.

სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების (მუხლი 37.) მიხედვით – „კოლეჯის დაცვის თანამშრომელი ვალდებულია აღნიშნულ პირებს აღმოუჩინოს ყველანაირი დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას კოლეჯის შენობაში. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, რომ თუ აღნიშნულ პირებს, მათთვის სპეციალურად მოწყობილი პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება, დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს ნებისმიერმა თანამშრომელმა“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (მუხლი 37);*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

- [x] *ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*
- [ ] *ქვესტანდარტი დარღვეულია*

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ვებ-გვერდია http://fanaskerteli.edu.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების შესახებ შემდეგი ინფორმაცია: ინფორმაცია აპლიკანტთათვის (წარმოსადგენი საბუთები, ინფორმაცია პროგრამებზე); ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი (OPAC); მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა, სტრუქტურა; ინფორმაცია პერსონალზე, პარტნიორებზე; ვებ-გვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა(კატალოგი); გზამკვლევი პროფესიული მასწავლებლებისთვის.

წარმოჩენილია ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის: ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესი; პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი; ინფორმაცია სტუდენტურ სერვისებზე.

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ახლდება რეგულარულად და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. განთავსებულია სასწავლო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ვებ-გვერდით http://fanaskerteli.edu.ge;*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულების მისიიდან გამომდინარე შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების სტრატეგიული (2018-2025) და სამოქმედო(2018-2019) გეგმები. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ, 2018 წლის 29 ნოემბრის N42 ბრძანებით. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია: სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ვადები, შესრულების ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირი.

სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (მუხლი 21) აღწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირებია: ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერი; დირექტორის მრჩეველი. პასუხისმგებელი პირი მონიტორინგის კვარტალურ/წლიურ ჯამურ ანგარიშს განსახილველად წარუდგენს კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორს და თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელ პირებს; ანგარიშის წარდგენის შემდეგ კოლეჯის დირექტორი გასცემს შესაბამის მითითებებს/რეკომენდაციებს კონკრეტული აქტივობის შემდგომ პერიოდში გადახედვაზე.

სასწავლო დაწესებულება ადგენს სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებს. საიტზე წარმოდგენილია 2015-დან 2018 წლის ჩათვლით ანგარიშები, სადაც ასახულია დაგეგმილი აქტივობების დამდგარი შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ფანასკერტელი"-ს გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით;*
- *საზოგადოებრივი კოლეჯი „ფანასკერტელი"-ს ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;*
- *შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის 2018 წლის 22 ნოემბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (ცვლილებები დამტკიცებულია 2019 წლის 28 თებერვლის N9 ბრძანებით);*
- *ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით.*

შეფასება:

- [x] *ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*
- [ ] *ქვესტანდარტი დარღვეულია*

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, რაც გაწერილია საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების მუხლი 46-ით. ადგილზე გადამოწმდა ყველა თანამშრომელის პირადი საქმე, დადასტურდა მათი შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით;*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, დადგინდა, რომ პროგრამების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ფიქსირდება პროფესიული განათლების მასწავლებლების შემდეგი რაოდენობა:

1. *საფინანსო სერვისები - 10 პროფესიული მასწავლებელი - 20 სტუდენტი;*
2. *ინფორმაციის ტექნოლოგია - 9 პროფესიული მასწავლებელი - 20 სტუდენტი;*
3. *საოფისე საქმე - 14 პროფესიული მასწავლებელი - 40 სტუდენტი;*
4. *აღმზრდელი - 12 პროფესიული მასწავლებელი - 40 სტუდენტი*
5. *ფარმაცია (საფთიაქო) – 14 პროფესიული მასწავლებელი - 60 სტუდენტი.*

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი პროფესიული მოდულის „დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support“ განმახორციელებელი პირის კვალიფიკაცია დასტურდება როგორც კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით (ფილოსოფიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სპეციალობა-ინგლისური ენა) ასევე ინტერვიურებით. თუმცა IT სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, მოდულის ეფექტური სწავლებისთვის რეკომენდირებულია მოდულის სწავლებაში დარგის სპეციალისტის ჩართვა და შესაბამისი მოდულის სწავლების მიდგომების გაწერა საკუთრივ მოდულში.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით;*
- *პროფესიულ პედაგოგებთან გასაუბრებით.*

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის 2018 წლის 30 ნოემბრის N 43 ბრძანებით , სადაც გაწერილია პერსონალის მართვის პოლიტიკა, დაწესებულებაში თანამშრომლების შერჩევა და აყვანა ხდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით. შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე ისეთ კომპეტენციებს, როგორიცაა: პროფესიონალიზმი, გუნდურობა, სამართლიანობა და ა.შ.

ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე დაწესებულების ხელმძღვანელი ადგენს კადრის საჭიროებას და თანამშრომლის აყვანა ხდება გასაუბრების გზით. ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს ვაკანტური პოზიციისთვის კადრის მოძიებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად. საბოლოო საშტატო განრიგს ამტკიცებს დირექტორი. პროგრამის განმახორციელებელ პირს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი. პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად შემოსული საბუთების შემოწმებას, გაანალიზებას და შესაბამისი კანდიდატების შერჩევას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერთან ერთად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის შერჩევას გასაუბრების საფუძველზე, ახორციელებს კოლეჯის დირექტორი და აფორმებს მათთან შრომით/მომსახურების ხელშეკრულებას. პერსონალთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები არ შეიცავს ბუნდოვან და კანონმდებლობასთან შეუსაბამო ჩანაწერებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით;*
- *პერსონალთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებებით;*
- *შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის 2018 წლის 30 ნოემბრის N 43 ბრძანებით.*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/დონე	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	*საფინანსო სერვისები*	*მესამე დონე*	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში (0412)	*51*	*66*	*ქართული*	*ქ. თბილისი, ზაზიშვილის ქ. N1*	*0*	*20*
2	*ინფორმაციის ტექნოლოგია*	*მესამე დონე*	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში (0612)	*60*	*75*	*ქართული*	*ქ. თბილისი, ზაზიშვილის ქ. N1*	*0*	*20*
3	*საოფისე საქმე*	*მეოთხე დონე*	*საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში (0415)*	*59*	*89*	*ქართული*	*ქ. თბილისი, ზაზიშვილის ქ. N1*	*0*	*40*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4	*აღმზრდელი*	*მეხუთე დონე*	*მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში (0112)*	*116*	*146*	*ქართული*	*ქ. თბილისი, ზაზიშვილის ქ. N1*	*0*	*40*
5	*ფარმაცია (საფთიაქო)*	*მეხუთე დონე*	*ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (0916)*	*123*	*153*	*ქართული*	*ქ. თბილისი, ზაზიშვილის ქ. N1*	*0*	*60*

IX. თანდართული დოკუმენტაცია

30/05/2019წ
თბილისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: